ოქმი:**ო63. 6323164001**
თარიღი:**13/06/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N 26

ქ.სამტრედია 30 მაისი, 2023 წელი.

მიმდინარე წლის 30 მაისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მანანა სირბილაძე, ვალერიანე ფოცხვერია, მერაბ უღრელიძე, ლიზა კრავეიშვილი, პაატა კოხრეიძე, დავით ნიკოლეიშვილი, მაია ტალაბაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“ - თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით.

/მომხსენებელი: მანანა სირბილაძე/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით.

/მომხსენებელი: მანანა სირბილაძე/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (7 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, (7 ხმით), იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,

საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ, დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა, წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით,</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ, კომისიის წევრებს გააცნო განცხადება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია - ,,ქართული ოცნება“ თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით, რომელიც ითხოვს ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას 10 ივნისიდან, 24 სამუშაო დღით. ამ პერიოდში, მის მოვალეობას შეასრულებს, ფრაქცია - ,,ქართული ოცნება“ თავმჯდომარის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი.

კომისიის წევრებმა, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“- თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის განცხადების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (7 ხმით) გადაწყვეტილებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“ - თავმჯდომარის განცხადება, გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით,</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ, კომისიის წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის - მერაბ უღრელიძის განცხადება, რომელიც ითხოვს კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლებას, 12 ივნისიდან, 24 სამუშაო დღით. აღნიშნულ პერიოდში, მის მოვალეობას შეასრულებს, კომისიის წევრი - გოჩა არველაძე.

კომისიის წევრებმა, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის - მერაბ უღრელიძის განცხადების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (7 ხმით) გადაწყვეტილებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მერაბ უღრელიძის განცხადება გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მედეია ონიანი

მანანა სირბილაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი